# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 28

„25“ იანვარი 2019 წ

ქ. თბილისი

**„ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის №297 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის №297 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ჩანაწერი „საბურთალოს რაიონში“ შეიცვალოს ჩანაწერით „დიდუბის რაიონში“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე